ხელშეკრულება სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ N 54

ქ. თეთრიწყარო 19 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის მოვალეობის დროებით შემსრულებლის გიორგი ფირცხალაიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „არქ დიზაინ მშენი"(შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა გორდეზიანის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N35 განკარგულება).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5."მიმწოდებელი"-პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6."მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7."ტექნიკური დავალება"- რომელიც ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში 9 აპრილის ქუჩის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვა /71320000-CPV/.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 150(ასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთანთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ - მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი სიმონ გულედანი და გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - გოჩა ლებანიძე.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1.მომსახურება განხორციელდება 2015 წლის 19 მიასიდან 2015 წლის 22 მაისამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2.შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1.ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარები, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - სიმონ გულედანი

8.2.ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდასაქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5.მხარე ვალდებულია არანაკლებ 1 (ერთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6.ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთაინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (საომარი მოქმედებების, სტიქიური მოვლენებების,ეპიდემიის, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრად შემცირების და ა.შ) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათიდადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 19 მაისიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,

ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022

კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

შპს „არქ დიზაინ მშენი"
იურიდიული მის: ქ. თბილისი, შირაქის 13 ბ. 15
ფაქტიური მის: ქ. თბილისი, შირაქის 16
ს/კოდი: 206246515
ა/ა GE60TB7696836050100001
ს/ს "თიბისი ბანკი"- ს
მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი TBCBGE22

15. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი ფირცხალაიშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის დროებით შემსრულებელი

გოჩა გორდეზიანი
შპს „არქ დიზაინ მშენი"-ს დირექტორი

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში 9 აპრილის ქუჩის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია:

1. მიწის მოჭრა, ტერიტორიის დასუფთავება
2. ლითონის მილის მოწყობა (დ=600მმ).
3. წყალმიმღებისა და ბორდიურის მოწყობა.

დამატებითი მოთხოვნები:

- სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებები გაანგარიშებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
- სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით.
- <u>მიმწოდებელმა შემსყიდველთან ერთად</u> ობიექტზე გასვლით და ადგილზე არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ტექნიკური დავალების საფუძველზე უზრუნველყოს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
- სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთხვევაში, მათი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინება განხორციელდეს შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) მოცულობათა უწყისს (დამოწმებულს შემსყიდველისა და საპროექტო ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელთა მიერ)

ბ) ლოკალურ ხარჯთაღრიცხვას;

გ) შესაბამის ტექნკურ ნახაზს.

3.საავტორო ზედამხედველობა

3.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა დამზადებული პროექტის განხორციელების/ მშენებლობის პროცესში. (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციების გაწევა (საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო ობიექტებზე მისვლა მიმართვიდან მაქსიმუმ 2 კალენდარულ დღეში), საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება (საჭიროების წარმოქმნიდან/ოფიციალური მიმართვიდან მაქსიმუმ 3 კალენდარულ დღეში).

4.საავტორო ზედამხედველობის ვადა

4.1 ტექნიკურ დავალებაში გაწერილი ობიექტის განხორციელების მთელი პერიოდი.

5.მომსახურების გაწევის ვადები

5.1გამარჯვებულმა ორგანიზაციამ ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

6. ნორმები და სტანდარტები

6.1 მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: